

899-962-1 (092 წლ)

ბ - 712

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბელნაწერის უფლებით

რობაქიკე ლალი

დავით კლდიაშვილი ქართველ მწერალთა
თვალთახედვით

10.01.01 - ქართული ლიტერატურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაკრებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

ტირაჟი 100



გამომცემლობა „უნივერსალი“


თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1

თბილისი
2001

ნაშრომი შესრულებულია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი — ევგენიძე იუზა
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ოფიციალური ოპონენტები: 1. ჯავახიშვილი თემური
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი (10.01.09)



2. გვენეტაძე გურამი
ფილოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატი, დოცენტი (10.01.01)

დისერტაციის დაცვა შედგება 2002 წლის „29“ „11“ „12³⁰“
საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის (P10.01.C№5)
სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე

მისამართი: 380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თსუ სამეცნიერო
ბიბლიოთეკაში

მისამართი: 380047, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2.

ავტორეფერატი დაიგზავნა 2002 წლის „29“ „11“ „12³⁰“

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

(Handwritten signature) ბ. ტაბიძე

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. ყველა დროის აქტუალური პრობლემაა მწერლისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების რკვევა; ამ კონტექსტში საგანგებო განმარტებას არ საჭიროებს ის ფაქტი, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს მწერლის აზრს მეორე მწერალზე და საზოგადოდ მხატვრულ მოვლენებზე, იმიტომაც, რომ ისინი ჩვეულებრივ რიგით ლიტერატორთაგან განსხვავებით აღჭურვილნი არიან სწორედ მწერლისათვის სპეციფიკური ალლოთი და ზოგჯერ უფრო მეტად წვდებიან მხატვრული ქმნილების არსს. რასაკვირველია, მათი ნააზრევი ცალკეულ შემთხვევაში დაზღვეული არაა სუბიექტივიზმისაგან, მაგრამ უნდა ითქვას, რომ სადაოობის შემთხვევაშიც ასეთი მოსაზრებანი გარკვეულ ბიძგს აძლევენ მკითხველთა და მკვლევართა გონებას, რათა უფრო სიღრმისეულად წვდნენ და ინტერესით შეისწავლონ მწერლის შემოქმედების ესა თუ ის მხარე.

-5181-

მწერლებს, როგორც ლიტერატურის დიდ ექსპერტებს, ანგარიშს უწევდნენ და უწევენ ყოველ კულტურულ ქვეყანაში და ცხადია, ქართულ სინამდვილეშიც. ამიტომ საზოგადოებისათვის მათ აზრს გამორჩეული ზემოქმედების ძალა აქვს. გარკვეული ტრადიციით, განსაკუთრებით ანგარიშს უწევენ ჩვენში სახელოვან მწერალ-მამულიშვილთა შეხედულებებს, რადგან სწორედ ისინი, არა მხოლოდ, როგორც მხატვრული სიტყვის დიდოსტატები, არამედ დიდი მორალისტები და ერთგვარი წინასწარმეტყველები, აძლევენ გარკვეულ მიმართულებას ქართველი ერის შეგნებას, გემოვნებას, კულტურულ-ლიტერატურულ დონეს... ამიტომაც ძალზედ დიდია მათ შეხედულებათა გავლენისა და ზემოქმედების ძალა მკითხველსა და სპეციალისტებზე.

მოცემულ შემთხვევაში დავით კლდიაშვილის მხატვრული მემკვიდრეობის შეფასებისას ფრიად საყურადღებო და განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართველ მწერალთა შეხედულებები. სახელოვანი მწერლის დავით კლდიაშვილის შემოქმედება იმთავითვე მოექცა